პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 273 (13089) | შაბათი, 21 ნოემბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

სახელოვანი იუბილე

უზბეკეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად მიესალმებიან და ულოცავენ უზბეკეთის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს ღირსშესანიშნავ თარიღს — უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და უზბეკეთის კომუნისტური პარტიის შექმნის მე-40 წლისთავს. უზბეკ ხალხთან ერთად ამ სახელოვან იუბილეს აღნიშნავს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაათავისუფლა უზბეკი ხალხი ცარიზმის უღლისა და ფეოდალებისა და ბაების ბატონობისაგან, მოუტანა მას ეროვნული აღორძინება, დარაზმა მშრომელები ახალი საზოგადოების შექმნისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის საბრძოლველად. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისა და, უწინარეს ყოვლისა, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, მოკლე ისტორიულ დროში უზბეკეთმა განვლო შესანიშნავი გზა ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ, გახდა მძლავრი ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტური რესპუბლიკა, რომელსაც აქვს განვითარებული მრეწველობა. მსხვილი მექანიზებული მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, მაღალი კულტურა. რესპუბლიკამ მიაღწია წარმატებებს, რომლებიც მთელ მსოფლიოს აოცებს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკაში შეიქმნა მრავალმხრივი მრეწველობა. რეკოლუციამდელ წლებთან შედარებით პროდუქციის გამოშვება 24-ჯერ გაიზარდა. სწრაფი ტემპით ვითარდება გაზისა და ქიმიური მრეწველობა. ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის საერთო მეცადინეობით აშენდა ბუხარა-ურალის გიგანტური გაზსადენი, რეკოლუციურად გარდაქმნა სოფლის მეურნეობა. წარილი დიხანური მეურნეობების ნაცვლად შეიქმნა მსხვილი მაღალმექანიზებული კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რესპუბლიკა გადაიქცა ბამბის წარმოების ძირითად ბაზად ჩვენს ქვეყანაში. უზბეკი მიწათმოქმედების თავდადებული შრომისა და მაღალი ოსტატობის, წარმოებაში მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევათა ფართოდ დანერგვის, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების შედეგად მებამბეობაში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი. ხორციელდება უმაგალითო მასშტაბის შეტევა მშიერ ველზე, რომელიც აუვავებულ მხარედ — სიუხვის მხარედ გადაქცევა.

რესპუბლიკაში მოხდა უდიდესი კულტურული რევოლუცია. დიდად განვითარდა განათლება, მეცნიერება და კულტურა, სავსებით გარდაიქმნა ქალაქები და სოფლები, გაუმჯობესდა ხალხის კეთილდღეობა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩამოყალიბდა ახალი ადამიანი — კომუნიზმის მშენებელი. წარსულში დაჩაგრულმა და უუფლებო უზბეკმა ქალმა ჩადრთან ერთად ჩამოიშორა ძველი ცხოვრების უღელი, წარსულის მონური წეს-ჩვეულებანი და გახდა თავისუფალი, თანასწორუფლებიანი მშრომელი, ახალი საზოგადოების აქტიური მშენებელი.

უზბეკი ხალხის გრანდიოზული წარმატებანი ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ძმური ურთიერთდახმარების, საბჭოთა სახოგადოებრივი წყობილების ძლიერებისა და ცხოველმყოფელობის მკაფიო დადასტურებაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ უზბეკეთის მშრომელები ძალღონესა და ენერგიას არ დაიშურებენ ბრძოლაში კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, პარტიის გენერალური ხაზის განხორციელებისათვის, რომელიც დასახულია სკკპ XX, XXI და XXII ყრილობების გადწყვეტილებებში.

ვუსურვებთ უზბეკ ხალხს ახალ წარმატებებს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას და მის შრომისმოყვარე ნიჭიერ ხალხს!

გაუმარჯოს უზბეკეთის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლ რაზმს!

მარად გამარჯვებული იყოს და ყვაოდეს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა — საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისა და უძლეველობის მტკიცე საფუძველი!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას, რომელიც მტკიცედ მიუძღვის საბჭოთა ხალხს კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

უზბეკეთი ზეიმობს თავის 40 წლისთავს

ტაშკენტი, 20 ნოემბერი. (საკუთარი). ტაშკენტში, ხელოვნების სასახლეში, რომელიც ახლახან აშენდა, დღეს დილით გაიმართა უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და უზბეკეთის კომუნისტური პარტიის მეორმოცე წლისთავს.

სასახლის საზეიმოდ მორთულ დარბაზში არიან რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები, რევოლუციური მოძრაობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის ვეტერანები, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშაკები, უცხოელ ჟურნალისტთა დიდი ჯგუფი.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველ მდივნებსა და მდივნებს, რომლებიც დელეგაციებს მეთაურობენ, მოსკოვის, ლენინგრადისა და ივანოვოს პარტიული ორგანიზაციების დელეგაციათა ხელმძღვანელებს, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ საიუბილეო დღესასწაულზე.

პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. რ. რაშიდოვი, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ს. ხასრიდინოვი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე რ. ყურბანოვი, შუა აზიის ორგანიზაციების ხელმძღვანელები, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები და წევრობის კანდიდატები, რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები.

უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. რ. რაშიდოვი შეკრებილთა სახელით გულითადად მიესალმა ძვირფას სტუმრებს და მათი სახით ყველა მოძმე რესპუბლიკის მშრომელებს.

შესრულებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და უზბეკეთის სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. ტაბის გრიალში აირჩიეს საზეიმო სხდომის საპატიო პრეზიდიუმი სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობით.

სტენოგრამა მოხსენებისათვის „უზბეკეთი კომუნიზმის გზაზე“ ეძლევა ამხანაგ შ. რ. რაშიდოვს.

საბჭოთა უზბეკეთის“ მშრომელები, თქვა ამხ. რაშიდოვმა. უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და უზბეკეთის კომუნისტური პარტიის სახელოვან 40 წლის იუბილეს ღირსშესანიშნავ დროს აღნიშნავენ.

ჩვენ ფართო და ნათელი გზით მივდიოთ მშვენიერი მომავლისაკენ. ეს გზა გაცისკროვნებულია ლენინური იდეების რაუქრობელი შუქით. იგი განსაზღვრულია გენერალური ხაზით, რომელიც კოლექტიურად შეიმუშავა პარტიამ თავის XX, XXI და XXII ყრილობებზე და ასახულია სკკპ პროგრამაში. ყრილობების გადაწყვეტილებებისა და პარტიის პროგრამის განხორციელების გზაზე დიდმნიშვნელოვანი ნიშანსეტი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა და ნოემბრის პლენუმები.

რესპუბლიკის მშრომელები, განაცხადა შემდეგ მომხსენებელმა, თავდადებით იბრძვიან პარტიის დიად წინასწარდასახულებათა განხორციელებისათვის, შესანიშნავი გამარჯვებებით აღნიშნეს მათ საუბნალეო წელი. ამხ. რაშიდოვმა ილაპარაკა წარმატებებზე, რომლებიც რეპუბლიკამ მოიპოვა ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. უზბეკეთის მრეწველობის ყველა დარგის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს პროდუქციის გამოშვების დაწესებული ათი თვის დავალება.

წარმატებით შეასრულეს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. მიმდინარე წელს უზბეკეთმა ორნახევარჯერ შესრულა პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. უზბეკი ხალხის შესანიშნავი გმირობაა მშიერი ველის ათვისება, რასაც იგი ამორცელებს ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხებთან მჭიდრო თანამშრომლობით. მშიერი ველის საეცხოო გარდაქმნა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ რა ძალუძს თავისუფალ ხალხს სოციალიზმის პირობებში.

სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ აღორძინდა და ანლებურად აყვავდა უზბეკეთის უძველესი კულტურა. იგი მთელი ხალხის კუთვნილება გახდა. საბჭოთა უზბეკეთი მთლიანი წიგნიერების, მაღალგანვითარებული მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების რესპუბლიკაა.

ყველაფერი, რითაც ახლა მდიდარია სოციალისტური უზბეკეთი, ხაზგასმით აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, რესპუბლიკის მშრომელს, კლეტნებისა და ინტელიგენციას შორის ნაყოფია. უზბეკეთის წარმატებებში მცირე წვლილი როდი შეიტანა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხმა, თავის მოხსენებაში ამხანაგმა რაშიდოვმა ტყუილად კი არ ილაპარაკა ასე გულთბილად სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ნაყოფიერ თანამშრომლობაზე. იმაზე, რომ უზბეკეთის ეხმარებიან მოძმე რესპუბლიკების ხალხები.

შემდეგ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ საბჭოთა უზბეკეთის შეეძლაინ, განამტკიცებასა და აყვავებაში თვალსაჩინო როლი ეკუთვნის რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას. ახლა უზბეკეთის კომპარტიის რიგებში ირიცხება 300 ათასზე მეტი კაცი. უზბეკეთის კომუნისტური პარტია სიამაყით ჯანდებს თავისი შეშაობის შედეგებს. ეს შედეგები დიდი და უდავოა. ისინი ახარებენ ყველა საბჭოთა ადამიანს. მაგრამ ეხანური ინტერძის ერთგული უზბეკეთის კომუნისტები თავიანი იუბილეს დღესაც კი ლაპარაკობენ არა მარტო წარმატებებზე, არამედ მორიგ ამოცანებზეც.

ახლა განსაკუთრებით საჭიროა დაუფლოთ მოწინავეთა გამოცდილებასა და მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს. დეტალურად ისინი ყოველდღიურ პრაქტიკაში. ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და ბინის ლუკიდაცია და ბინი მტკიცე განუწყვეტელი ზრდის უზრუნველყოფა უმიერესი საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანაა. წარმოების ეკონომიურობის, ბინი რენტაბელობის ზრდის პრობლემა დგას საბჭოთა მრეწველობის მუშაკების წინაშეც. ამასთან დაკავშირებით უმიერესი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. კომუნისტურ მშენებლობაში საბჭოთა ხალხის დიდი წარმატებები არ უნდა იქცეს ძალად, რომ ვერ ეხელდადგეთ არსებულ ნაკლოვანებებს. ამათ ძალუძთ მიგვაყენონ კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის უფრო სწრაფი წინსვლის საწინდრად.

უზბეკეთის სსრ რესპუბლიკისა და შუა აზიის სხვა საბჭოთა-რუსეთ-ეროვნების შექმნას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. უზბეკეთს ფართო ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა აქვს მსოფლიოს ბევრ ქვეყანასთან. ნამდვილად მეგობრული ურთიერთობა დამყარა უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ საამრეთელ მეზობელთან — ავღანეთთან.

ჩვენთვის, განაგრძო ლ. ი. ბრეჟნევმა, ლენინური პრინციპები იყო და იქნება საერთაშორისო პოლიტიკაში საბჭოთა კავშირის ყველა მოქმედების საფუძველი. საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა უზრუნველყოს მშვიდობიანი პირობები კომუნისტური მშენებლობისათვის. ჩვენ ძალლონეს არ დავიშურებთ იმისათვის, რომ გაგრძელებულ-ოთ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მეგობრობა და ერთიანობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სიმტკიცე სიფეფელზე. საბჭოთა კავშირი ერთგული მეგობარია აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხებისა, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმისა და ყველა ფორმის კოლონიალიზმის წინააღმდეგ. კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში ჩვენ თანმიმდევრულად ვიცავთ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს. ვისთვისაც ძვირფასია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გაუჯობესების ინტერესები, მას საბჭოთა კავშირის სახით მუდამ ეყოლება გულისხმიერი და საიმედო პარტნიორი. ჩვენ, ვინც ვიბრძოლ ბოლშევიზმის ფრაფებას წინ წავიწოთ საერთაშორისო ურთიერთობის გამოჯანსაღების საქმე, ვთავაზობთ ერთად გამოვნახოთ ის ძირეული პრობლემების გადაჭრის გზა, რომლებიც ხალხებს აღელვებს.

ლ. ი. ბრეჟნევმა რწმენა გამოთქვა, რომ უზბეკეთის რესპუბლიკის ხალხები უზბეკეთის კომუნისტური პარტიის მეთაურობით გამოიყენებენ სოციალისტური მშენებლობის ორმაგი წლის გამცდილებას და ყველაზე ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის თვითრობას თავიანთ მთავარ მიზნად მიაჩნიათ დაეცხრომელად იმუშაონ პარტიის გენერალური ხაზის განხორციელებისათვის, რომელიც პარტიის უკანასკნელ ყრილობებე იყო მიღებული და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაშია ჩამოყალიბებული. ჩვენი პარტიის პოლიტიკაში მთავარია დაუცხრომელი ზრუნვა ხალხის ეთილდღეობისათვის. ეს ორის ყველა კომუნისტის უმაღლესი და წმიდათა-წმიდა მოვალეობა, სადაც უნდა შრომობდეს, რა პოსტიც უნდა ეჭიროს. ჩვენი ეროვნული და ამავე დროს ინტერნაციონალური მოვალეობაა ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური, პოლიტიკური და თავდაცვითი ძალიერება.

პატრიოტიზმი და ხალხის ურღვევი ერთიანობა, კომუნიზმის დიადი იდეალებით შთაგონებული საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომა, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის მჭიდრო, ძმური მეგობრობა, თქვა დასასრულ ლ. ი. ბრეჟნევმა, ჩვენი გამარჯვებების ბეშმარიტი საწინდარი, ამის ბეშმარიტი გარანტია, რომ საბჭოთა ხალხი ლენინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით გადაწყვეტს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიდებულ ამოცანებს.

მეორეგ ლ. ი. ბრეჟნევმა წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება მთელი უზბეკი ხალხისადმი.

იუბილარ რესპუბლიკას გულთბილად მიესალმნენ ხელმძღვანელები მოკავშირე რესპუბლიკებისა და ქალაქების დელეგაციებისა, რომლებიც ზეიმზე ჩამოვიდნენ.

სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. (საკუთარი).



ტაშკენტი. ლენინის მოედანი.

ფოტო ტ. მელნიკისა.

უპატაკეთენ სამშობლოს

● **ახალციხის** რაიონის მეცხოველეებმა ვალაზე ოვენახვეერით ადრე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 17.492 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 17.300 ცენტნერისა.

სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვა გრძელდება.

● **სიღნაღი**. (საკ. კორ.). ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის მუშაკებმა წლიური გეგმით გათვალისწინებული 22.237 ცენტნერის ნაცვლად ათ თვეში 22.455 ცენტნერი რძე აწარმოეს.

მწველავთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში შალვა ხუციშვილმა გაიმარჯვა. მას თვითეულ ძროხაზე წელს 2.050 კილოგრამი რძე უნდა მიეღო. ფაქტიურად 2.927 კილოგრამს გადაამეტა. მან წლის ბოლომდე გეგმის ზვით 170 ცენტნერი რძის მიღება იკისრა.

● **თბილისი**. ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებლო ქარხნის კოლექტივმა საწარმოო დავალებათა შესრულებაში ახალი წარმატება მოიპოვა და საგრო პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა 104,6 პროცენტით შესრულა, რითაც სამშობლოს გეგმის გადამეტებით 95 ათასი მანეთის პროდუქცია მისცა.

განვლილი დროის მანძილზე შრომის ნაყოფიერების ზრდის მაჩვენებელმა გეგმით ნავარაუდევს 4,6 პროცენტით გადააჭარბა. მიღებულია ზეგეგმითი დაგრავება და ზეიდწლედის ეკონომიის ფონდში შეტანილია 53.500 მანეთი.

იაფი ენერგია დნეპრიდან

დნეპროძერჟინსკი, 19 ნოემბერი. (საკუთარი კორ.). **სარული დატვირთვით ამუშავდა და სამრეწველო დენი გამოუშვა დნეპროძერჟინსკის პიდროელექტროსადგურის მერვე პიდროაგრეგატმა. შვიდწლიანი გეგმით მისი სიმძლავრე გათვალისწინებული იყო 250 ათასი კილოვატით. მშენებლობის პროცესში გადასინჯულ იქნა პიდროაგრეგატის პროექტი და მისი სიმძლავრე გაიზარდა კიდევ 100 ათასი კილოვატით.**

როგორც საკავშირო კორესპონდენტს განუცხადა პიდროელექტროსადგურის დირექტორმა ვ. ზ. ბურცევმა, ახალი პიდროელექტროსადგური გარეთიანებული სხდომა, სხდომაზე მოისმინეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პ. ფ. ლომაკოს მოხსენება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის დახუსტებული სახელმწიფო გეგმის პროექტის შესახებ და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ვ. თ. გარბუზოვის მოხსენება სსრ კავშირის 1965 წლის დახუსტებული სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და სსრ კავშირის 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

სახალხო სამეურნეო გეგმის, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების ცალკეული განყოფილებების და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განსახილველად და ამ პროექტების გამო დასკვნების მოსამზადებლად შეიქმნა ქვეკომისიები სახალხო მეურნეობის დარგებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით.

ამჟამად ქვეკომისიებში განიხილავენ სსრ კავშირის სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სსრ კავშირის სახმშენის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლთა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარმომადგენლთა ინფორმაციებს მიმდინარე წლის გეგმის და ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობისა და 1965 წლის საგეგმო და საბიუჯეტო დავალებათა პროექტების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კალატეგის მუდმივ კომისიებში

სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მომავალ მეხუთე სესიასთან დაკავშირებით პალატების საბიუჯეტო კომისიებმა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიურმა კომისიამ დაიწყეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის დახუსტებული სახელმწიფო გეგმის პროექტისა და სსრ კავშირის დახუსტებული სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის, აგრეთვე 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წინასწარი განხილვა.

1964 წლის 20 ნოემბერს კრემლში გაიმართა პალატების საბიუჯეტო კომისიებისა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის გაერთიანებული სხდომა, სხდომაზე მოისმინეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პ. ფ. ლომაკოს მოხსენება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის დახუსტებული სახელმწიფო გეგმის პროექტის შესახებ და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ვ. თ. გარბუზოვის მოხსენება სსრ კავშირის 1965 წლის დახუსტებული სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და სსრ კავშირის 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

ცნობარი—ავტომატი

მოსკოვი, 18 ნოემბერი. (საკუთარი კორ.). **რა არის ავტომატური საცნობარო მოწყობილობა? ამაზე, თქვენ გიპასუხებთ ავტომატი, რომელიც ადამიანია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევების გამოფენის რადიოელექტრონიკის პავილიონში. ავტომატი უპასუხებს ბევრ სხვა კითხვაზეც. მას შეუძლია გაცნობოს, რამდენი ტელევიზორი, რადიომიმღები და რადიოლა დაამზადა მიმდინარე წელს ჩვენმა მრეწველობამ. აპარატი განმარტავს, როგორია ახალი ტელევიზორების ძირითადი თავისებურებანი, მოგცემს მოსკოვის რადიოსაქონლის მაღაზიების მისამართს, მიგიითითებს, სად და როგორ შეუკვეთო რადიოსაზომი ხელსაწყოები.**

ავტომატით სარგებლობა ძნელი არ არის. ამისათვის საკმარისია გაეცნო კითხვების სიას, რომელზეც შეიძლება პასუხის მიღება. ამის შემდეგ საჭიროა ტელეფონის დისკოზე კითხვის ნომრის აკრეფა. ფირზე წინდაწინ ჩაწერილ პასუხს თქვენ გიგონებთ ტელეფონის ყურმილში.

ავტომატს ერთსა და იმავე დროს შეუძლია ცნობა მისცეს გამოფენის სუთ დამთვალიერებელს. ზოგიერთ ცნობას ავტომატი ვრცლად იძლევა და განმარტავს რვა წუთის განმავლობაში. ეს ავტომატი ცნობებს აწვდის მოქალაქეებს გამოფენების, ვოზალების, ფოსტამტბებისა და მაღაზიების შესახებ.

ჩვენს დროს სამჯობლიში

ახალი ჟურნალი

მოსკოვი, 18 ნოემბერი. (საკუთარი კორ.). 1965 წლის იანვრიდან გამოვა ახალი ყოველთვიური მასობრივი მეცნიერულ-პოპულარული ჟურნალი „ხიმია ი ჟიზნ“.

„ახალი ჟურნალის ფურცლებზე დაიბეჭდება მეცნიერებისა და ინჟინერების, მწერლებისა და ჟურნალისტების სტატიები. ჟურნალში გამოქვეყნდება არა მარტო მეცნიერულ-პოპულარული და საინტერესო მასალები, არამედ აგრეთვე მხატვრული ნაწარმოებები და მეცნიერული ფანტასტიკა, თარგმანები ყველაზე საინტერესო სტატიებისა უცხოთის მეცნიერულ-პოპულარული ჟურნალებიდან.

სენსაციური ამბავი

უნგრეთის იუსტიციის ხელმძღვანელი მუშაკები საქართველოში

სამი დღე იყო საქართველოში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის იუსტიციის ხელმძღვანელი მოღვაწეთა დელეგაცია. დელეგაცია ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მოწვევით. უნგრელი ამხანაგები გაეცნენ რესპუბლიკის სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის პრაქტიკას.

დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი დოქტორი ფერენც ნეზვალი, იუსტიციის მინისტრის მოადგილე დოქტორი იმრე მარკოია, ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები დოქტორი ზოლტან ნადი და დოქტორი იანოშ საბო, მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ვ. ა. როდონოვმა. საუბარში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ი. ტერებლოვმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ვ. ი. მაისურაძემ, რესპუბლიკის პროკურორმა პ. ე. ბერძენიშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ მ. ყ. ლომიძემ, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრმა ო. ა. ქაჯთარაძემ.

უნგრეთის იუსტიციის მოღვაწეები შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურის, იურიდიული კომისიის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკებს.

ქალაქ რუსთავის ამხანაგური სასამართლოებისა და ნაბაყოფლობითი სახალხო რაზმეულების წარმომადგენლებმა უნგრელ იურისტებს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება. დელეგაციის წევრები იყვნენ გურჯაანსა და თელავში, სადაც ესაუბრნენ სახალხო სასამართლოთა თავმჯდომარეებს.

თბილისიდან გამგზავრების წინ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა საქდესის კორესპონდენტს გაუზიარა საქართველოში ყოფნის შთაბეჭდილებანი.

— მეტად სასარგებლო იყო ჩვენი შეხვედრები საქართველოს იუსტიციის მუშაკებთან. სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის გაცნობამ გვიჩვენა, რომ ისინი დიდ როლს ასრულებენ კომუნისტური საერთო ცხოვრების მაღალი ჰუმანური პრინციპების აღზრდაში და ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა აღმოფხვრაში.

დიდად საინტერესო იყო ჩვენთვის, თქვა შემდეგ ფერენც ნეზვალმა, გაგცნობოდით პროფილაქტიკური მუშაობის დიდსა და ლებისა და ამხანაგური სასამართლოების მუშაობის პრაქტიკა.

ნაცისტმა დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ

ბერლინი, 20 ნოემბერი. (საკუთარი). ის, რომ დასავლეთგერმანელ ხელისუფალთ განზრახული აქვთ შეწყვიტონ ნაცისტი დამნაშავეების სასამართლო დევნა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ვენერალურმა პროკურორმა იოზეფ შტრაიტმა დაახასიათა როგორც გამოხდომა საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ.

გუშინ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტელევიზიით სიტყვა წარმოთქვა ი. შტრაიტმა, რომელმაც განაცხადა, ყველა ნაცისტი დამნაშავე მკაცრად უნდა დასჯილ-ი-ყოს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობა მკაცრად გმობს ბონის განზრახვას სამართალში არ მისცეს მომავალი წლის მაისიდან ის პირები, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს მეორე მსოფლიო ომის დროს. ნაცისტი დამნაშავეები, მიუხედავად მათი დანაშაულის ხანდაზმულობისა—საბრალდებულო სკამზე უნდა დავსვათ!—ასეთი მოთხოვნები წამოაყენეს ზულის ოლქის პროფკავშირთა 200 ათასმა წევრმა, აგრეთვე რესპუბლიკის ბევრმა სხვა მასობრივმა ორგანიზაციამ.

სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს სხდომა

დელი, 20 ნოემბერი. (საკუთარი). დელიში გაიმართა სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს სხდომა. სხდომამ განიხილა რეზოლუციები, რომლებიც მიიღო აქ გამართულმა მშვიდობისა და თანამშრომლობის საერთაშორისო კონფერენციამ და ეროსულოვნად მოიწონა ეს რეზოლუციები, რადგან ისინი ასახავენ ინდოეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის მებრძოლთა აზრსა და მისწრაფებებს.

იმის გამო, რომ წელს არ მოეწყობა საბჭოს ყოველწლიური კონფერენცია, სხდომაზე აირჩიეს სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს ხელმძღვანელობის ახალი შემადგენლობა. საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია საზოგადო მოღვაწე, პარლამენტის დეპუტატი დიკან ჩაბან ლალი.

უკანასკნელ საათს

მსოფლიო ამ დღეებში

საერთაშორისო დეკეთური ცხოვრება

ერაყის საგარეო პოლიტიკა

ბაღდადი, 19 ნოემბერი. (საკდესი). ერაყის პრეზიდენტმა არეფმა სიტყვა წარმოთქვა არაბთა სოციალისტური კავშირის კრებაზე და განაცხადა, რომ ერაყის საგარეო პოლიტიკის მთავარი პრინციპია მშვიდობიანი თანაარსებობა.

პრეზიდენტი შეეხო ერაყის მდგომარეობას და განაცხადა. „ჩვენ შევუდექით სამხედრო სასამართლოების თანდათანობით ლიკვიდაციას და ჰალე ყველა საქმეს სამოქალაქო სასამართლოებს გადავცემთ“.

დიდი თეატრის დიდი წარმატება

ბილანო, 20 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ სპექტაკლი „თავად იგორით“ დამთავრდა დიდი თეატრის გასტროლები მილანოში. 27 ოქტომბრიდან სპბეოთა მსახიობებმა ლა სკალას თეატრის შენობაში გამართეს 21 სპექტაკლი, მილანელებს უჩვენეს ოპერები „ბორის გოდუნოვი“, „თავადი იგორი“, „პიკის ქალი“, „სადკო“ და „ომი და მშვიდობა“. გარდა ამისა, ამავე დარბაზში გაიმართა ორი სიმფონიური კონცერტი გუნდის მონაწილეობით და დიდი თეატრის მეკვიოლინეთა ანსამბლის ორი კონცერტი. ყველა სპექტაკლი და კონცერტი მიმდინარეობდა დიდი წარმატებით ხალხით სავსე დარბაზში. იტალიის პრესამ მაღალი შეფასება მისცა მათ.

გაზეთებმა აღნიშნეს თეატრის ბეკრი სოლისტის თვალსაჩინო მიღწევა, რომლებიც მთავარ პარტიებს ასრულებდნენ ოპერებში, აგრეთვე პროფესიული მხატვრული ხელმძღვანელობის მაღალი დონე.

დღეს იტალიის ტურიზმის, სპორტისა და სანახაობათა საწარმოების სამინისტრომ, ქალაქ მილანის მერმა დარბაზობა გამართეს სპბეოთა მსახიობების პატივსაცემად. მილანოს მერი ჯ. ბუკალოსი მიესალმა სპბეოთა სტუმრებს და ხაზგასმით აღნიშნა გასტროლების მნიშვნელობა ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის და იმედი გამოთქვა, რომ კულტურული გაცვლა სპბეოთა კავშირსა და იტალიას შორის კვლავ გაფართოვდება.

დარბაზობაზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ელჩმა იტალიაში ს. ჯ. კოზირევმა. მან თქვა, რომ სპბეოთა კავშირი მხარს უჭერს კულტურული ურთიერთობის გაფართოებას ყველა ქვეყანასთან, რაც გამოხატავს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას.

იუნესკოს სესია

პარიზი, 20 ნოემბერი. (საკდესი). მუშაობას ამთავრებს იუნესკოს გენერალური კონფერენციის XIII სესია. სამუშაო კომიტეტები და კომისიები დელეგატთა დასამტკიცებლად წარადგენენ მათ მიერ მომზადებულ რეზოლუციებსა და მოხსენებებს. გუშინ სესიის მონაწილეებმა აირჩიეს იუნესკოს ოთხი კომიტეტის — მთავარი ბინის კომიტეტის, იურიდიული კომიტეტის, იუნესკოს წევრ სახელმწიფოთა მოხსენებების კომიტეტისა და ნებების ძიებლთა დაცვის საერთაშორისო კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

საღამოს სხდომაზე განიხილეს კომისიის მოხსენება პროგრამის შემუშავების შესახებ. კომისიამ წარადგინა ორგანიზაციის 1965-1966 წლების პროგრამისა და ბიუჯეტის პროექტის შენიშვნები და შესწორებანი. აგრეთვე შეჯამა ამ საკითხებზე გამართული დისკუსიის შედეგები. დელეგატებმა დღეს აგრეთვე მიიღეს რეკომენდაცია კულტურულ ფასეულობათა უკანონო შეტანის, გატანისა და საკუთრების უფლების გადაცემის აკრძალვისა და აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ.

დიდი ინვერესი

ტოკიო, 20 ნოემბერი. (საკდესი). დღეს იაპონიაში დაიხურა მანქანათმშენებლობის სპეციალიზაციული საერთაშორისო გამოფენა. გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს 19 ქვეყნის, მათ შორის სპბეოთა კავშირის სავაჭრო გაერთიანებებმა და ფირმებმა.

გამოფენამ იაპონიისა და საზღვარგარეთის საქმიანი წრეების დიდი ინტერესი გამოიწვია. 11 დღის განმავლობაში გამოფენა ნახა დაახლოებით 400 ათასმა კაცმა. დადებულია 30 მილიონი დოლარის კონტრაქტები.

სუდანის მთავრობის გადაწყვეტილებანი

კაირო, 19 ნოემბერი. (საკდესი). სუდანის მთავრობამ 17 ნოემბრის სხდომაზე განიხილა საკითხი, რომ შეიქმნას სუდანის უმაღლესი სახელმწიფო საბჭო — ორგანო, რომელიც დროებით შეასრულებს სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციებს, და დაიკავებ პრემიერ-მინისტრ ჰათემ ელ-ხალიფას გამოარკვიოს მთავრობაში წარმოდგენილ ორგანიზაციათა აზრი ამ საკითხზე. ამას იუწყება ომდურმანის რადიო.

მთავრობამ განიხილა სამხედრო რეჟიმის მსხვერპლთა ოჯახებისათვის დახმარების აღმოჩენის საკითხი, აგრეთვე უმუშევრობის საკითხი.

სუდანის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გააუქმოს ეროვნული დღესასწაული „რევოლუციის დღე“ — 1958 წლის 17 ნოემბრის სამხედრო გადატრიალების წლისთავი, რომლის შედეგად სუდანში დამყარდა სამხედრო მართვა-გამგეობა გენერალ აბუდის მეთაურობით.

მთავრობამ გადაწყვიტა აგრეთვე შექმნას პარლამენტის საარჩევნო კომიტეტი. არჩევნები უნდა მოეწყოს 1965 წლის მარტამდე.

„ატომური დამკვრელი ძალა“ და მისი მოწინააღმდეგენი

პარიზი, 19 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ი. ლოპატინი გვაუყობნებს:

წუხელ საფრანგეთის სენატში გაიმართა „ატომური დამკვრელი ძალის“ შექმნისათვის გათვალისწინებული კრედიტების წინააღმდეგ და შესაბამისი შესწორება შეიტანა სამხედრო ბიუჯეტის პროექტში.

საფრანგეთის 1965 წლის სამხედრო ბიუჯეტის განხილვა, რომელიც უკვე მოიწონა ეროვნულმა კრებამ, სენატში გუშინ ნაშუადღევს დაიწყო. კამათმა მაშინვე მწვავე ხასიათი მიიღო. სენატორთა უმრავლესობა მკაცრად აკრიტიკებდა გამალებული ატომური შეიარაღების პოლიტიკას, რომელსაც საფრანგეთის მთავრობა ახორციელებს. ეს კრიტიკა სხვადასხვა პოზიციიდან წარმოდგა, თუ ბურჟუაზიული პარტიების ორატორებმა უკმაყოფილება გამოთქვეს იმით, რომ დეგოლის მთავრობის მისწრაფება შექმნას საკუთარი „ატომური დამკვრელი ძალა“ განსეთქილებას წარმოშობს საფრანგეთსა და მის მთავარ ნატოელ პარტნიორებს — შეერთებულ შტატებს, დასავლეთ გერმანიასა და ინგლისს შორის, რომლებიც „ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების“ სხვადასხვა ვარიანტს ითვალისწინებენ, კომუნისტებმა და მათთან ახლომდგომმა დაჯგუფებებმა გაილაშქრეს მთავრობის გამალებული ატომური შეიარაღების კურსის წინააღმდეგ და განაცხადეს, რომ იგი დიდ საფრთხეს უქმნის ევროპისა და მთელი მსოფლიოს უშიშროებას.

სენატორმა გენერალმა პეტიმ თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ატომური დამკვრელი ძალა“ უზარმაზარ საბსრებს შთანთქავს მაშინ, როცა საფრანგეთს „აკლია სკოლები, ლიცეუმები, ლაბორატორიები, ბინები, საავადმყოფოები“. ჩვენ, თქვა მან, „გადაჭრით უნდა გავილაშქროთ გამალებული ატომური შეიარაღების წინააღმდეგ, რაც შეესაბამება ფრანგი ხალხის ინტერესებსა და მისწრაფებებს. შემდეგ საყოველთაო განიარაღების გზას უნდა დავადგეთ“. გენერალმა პეტიმ განაცხადა, რომ „მრავალმხრივი ატომური ძალები, რომლებსაც შეერთებული შტატები გვთავაზობენ და რომლის შექმნას სსსრ-ფოდ ეთანხმება დასავლეთ გერმანია, ვერ აადვილებენ საერთაშორისო პრობლემების გადაჭრას. თუ ამერიკის შეერთებული შტატები ევროპაში თავიანთი ჰეგემონიის განმტკიცებას ცდილობენ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა უწინარეს ყოვლისა ატომური ბომბებისა და ინგლისს შორის, ატომური ბომბებისა და ინგლისს შორის, ატომური ბომბებისა და ინგლისს შორის,

გამოჩენილი მეცნიერი

თვითეული მეცნიერის ისტორიული დამსახურება უნდა შეფასდეს არა მარტო იმ თვალსაზრისით, თუ რა ადგილი დაიკავა მან მომდევნო პერიოდში, არამედ იმის აუცილებელი გათვალისწინებით — რა პასუხი მისცა თავისი დროისა და ეპოქის მოთხოვნილებას. ეს საზომი სავალდებულო უნდა იყოს წარსულის ყველა მოღვაწის შეფასებაში, როცა გვინდა მისი ღირსება და ნაკლი გამოვარკვიოთ.

სიმონ ხუნდაძე, რომელიც ოცდაათი წლის წინათ დაგვშორდა, დღეს ჩვენთვის ისტორიაც არის და თანამედროვეობაც. მისი სახით გუშინდელი დღეც გვიკვირის და დღევანდელობაც. თითქოს გუშინ იბეჭდებოდა მისი შრომები, გუშინ ვკითხულობდით მის წერილებს, გუშინ ვუსმენდით და ვუ ვესაუბრებოდთ, დღეს კი ყველაკერი ეს მარტოოდენ ხსოვნას შერჩენია და წარსულის ცოცხალ სურათებად ქცეულა.

ქართველ ხალხს ცრემლი მოჰგვარა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, სიცოცხლითა და ენერგიით სავსე პროფესორ სიმონ ხუნდაძის უდროო და სრულიად მოულოდნელმა გარდაცვლებამ. იმდროინდელი ქართული პრესა გულწრფელად გლოვობდა გამოჩენილი მეცნიერის, შეასანიშნავი ადამიანის, უნადო პატრიოტისა და უანგარო მოქალაქის საკვდილს; ყველა შეაშფოთა 1933 წლის 21 აგვისტოს ტრაგიკულმა ცნობამ და ყველამ იგრძნო, თუ რა დიდი სიყვარული ჰქონია მომოვებული სიმონ ხუნდაძეს მშობელი ხალხის გულში. ამ სიყვარულს ღრმა ფესვები ჰქონდა, ვინაიდან სიმონ ხუნდაძის ცხოვრების ხანმოკლე გზა მარტოოდენ შრომა და ბრძოლა იყო ქართული მეცნიერებისათვის; ამითვე დიდება მან დაუფიწყარი ძეგალი ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

ვინც ახლოს იცნობს ქართული ფილოლოგიის მდგომარეობას 20-30-იან წლებში, ის დაგვეთანხმება, რომ იმ დროს ძნელი იყო ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების მეცნიერული ისტორიის შექმნა. ამ სინელეს თვით სიმონ ხუნდაძე შესანიშნავად გრძნობდა, მიუხედავად იმისა, რომ ენერგიით სავსე იყო და არაჩვეულებრივი გატაცებით აგროვებდა მასალებს. 1929 წელს დაწერილ ნაშრომში — „გიორგი წერეთელი", რომელიც იმ მასალების ახლოდან უმცირესი ნაწილია, სიმონ ხუნდაძე მიუთითებდა, რომ ქართული აზროვნების ისტორიის შექმნას ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზი ეღობება წინ და მათი დაძლევა „შესაძლებელია მხოლოდ კოლექტიური გზით". ეს თვით სიმონ ხუნდაძემ სცადა, თითქოს სურდა ერთობაშად ამოვავსო შეჩენეული ნაოვები. საოცრად ნაყოფიერი შედეგების მიღწევას ხელს უწყობდა ის ფართო ერუდიცია, რომელიც მან ჭაბუკობიდანვე შეიძინა. ამიტომ არის, რომ სიმონ ხუნდაძე წიგნებად გამოცემულ ადრინდელ ნაშრომებშიც ღრმად დაკვირვებული სოციოლოგი და ისტორიკოსი ჩანს. მხედველობაში გვაქვს ვრცელი ნაშრომი — „თანამედროვე იმპერიალიზმის პრობლემები" (1923 წელი) და 1924 წელს გამოცემული „მარქსის ინტერნაციონალი".

მაგრამ ფრანგული სოციოლოგიური კვლევა-ძიება სიმონ ხუნდაძეს შემდეგ აღარ უწარმოებია. მომდევნო წლებში მას გაიტაცებს ლიტერატურის ისტორია, კერძოდ, ქართული მწერლობის პრობლემატიკა. აქედან იწყება თუმცა ხანმოკლე, მაგრამ დიდი პერიოდი ამ უდროოდ დაკარგული მეცნიერის მღელვარე შემოქმედებითს ცხოვრებაში.

ახლა უფრო ნათელი ხდება, რომ თავისი ნაშრომებით სიმონ ხუნდაძემ არა მარტო მეცნიერული პრობლემები გაარკვია, არამედ ხელი შეუწყო მოსწავლე ახალგაზრდობასა და მკითხველთა ფართო ფენებში ქართული ფილოლოგიისადმი ღრმა სიყვარულის გაღვიძებას.

ასეთივე როლი შეასრულა მისმა მონოგრაფიამ „ნ. გ. ჩერნიშევსკი", სადაც ქართველი ინტელიგენციის დამოკიდებულება რუსი რაზნოჩინელისადმი პირველად იქნა დახასიათებული მდიდარი მასალებით. წიგნში ისე დიდი სიყვარული ჩანდა 60-იანი წლების სახელოვანი პლეადისადმი, ისე გულთბილად და ღრმად იყო დახასიათებული ჩერნიშევსკის როგორც პიროვნება, აგრეთვე ლიტერატურულ-კრიტიკული, პუბლიცისტურ-ფილოსოფიური მემკვიდრეობა, რომ სავსებით ნათელი ხდებოდა, თუ რატომ წარმოსდგა შთამომავლობის წინაშე ეს მშვენიერი ადამიანი გიგანტის სახით.

ასევე მოხდა ესთეტიკაშიც. სიმონ ხუნდაძის ნაშრომი იმასაც მოწმობს, თუ რა სწორად ესმოდა ახალგაზრდა მკვლევარს როგორც ჩერნიშევსკის ესთეტიკა, ისე მისი წყაროები და ადგილი საერთოდ მხატვრული აზროვნების ისტორიაში.

მაგრამ ჩერნიშევსკი გამონაკლისს არ წარმოადგენდა რუსული ლიტერატურის კვლევა-ძიებაში. სიმონ ხუნდაძემ ძალიან საგულისხმო პარალელი გაავლო ტოლსტოისა და ჩერნიშევსკის შორის.

ხაერთოდ, ყოველ საკითხს, რომელსაც თავისი კვლევა-ძიების ობიექტად გაიხდიდა, სიმონ ხუნდაძე ღრმად აშუქებდა, პარალელებს უძებნიდა, მასალებს ურჩევდა. სიღლუსტრაციოდ მხოლოდ ერთ მათგანს დაეასახელებთ. თითქოს სრულიად უბრალო საკითხი — „არსენას ტიპი ქართულ მწერლობაში" მან ისე ფართოდ განიხილა, „რომ პატრე უმიკაშვილისა და სერგი მესხის — ნაღლეურ არსენას ამ პირველი კრიტიკოსების შემდეგ ნამდვილად ახალი სიტყვა თქვა, მოიძია რეალიები, გაარკვია წყაროები, დაახასიათა რეალური ტიპები და პროტოტიპები. რაც შეეხება ხალხური ტექსტის ანალიზს, სიმონ ხუნდაძემ გამოიყენა უცნობი ვარიანტები, შეადარა ცნობილ ლექსებს და მეტად საინტერესო დასკვნები გააკეთა. ეტყობა, კვლევა-ძიებაში მისთვის არ არსებობდა დიდი და პატარა საკითხები, ყველაფერი მნიშვნელოვანი იყო, თუ პეშმარიტების დადგენაში გარკვეული როლის შესრულებას დაკისრებდა.

ბალაბაშეშხარ ნარნილებში სიო ჩურჩულებს. მზრალად ნახნავი შავი ბაგერდივით მიწა გაფუებულა. ვაზის შემკბარი ფოთლებისა და ხეხილნარის შეყვითლებულ-შეწითლებული ფოთლები დაფენილა ზვრებსა და ბალებში. ბუნების ეს თავისებური ხალიჩა არავის მოუქარგავს, მაგრამ მაინც „ზოგან ყვითელ, ზოგან წითელ, ზოგან ალისფერია..." ბუნების ჯადოსნური ფუნჯის ნახელავი გასაოცარი და უბადლოა. შემოდგომას თავისი სიუჟეტის კალთა დაუბერტყავს ყველგან: ბაღში და ვენახში, მინდორსა და კალთაზე. ეი ხმელი „ბოემის" ფერდობის ვრცელ ხოდაბუნებზე, დიდ მუხასთან სამთავიანელმა ილია ილურიძემ შაქრის ჭარხლით დატვირთული უკანასკნელი მანქანა გაგზავნა მიმდეს პუნქტში და ამაყოფილებით ჩაილაპარაკა:

— ეს სამეფე მოგთავივე.

შემდეგ თვალი მოავლო ირგვლივ და შორს, ჰორიზონტზე სატვირთო მანქანა შენიშნა. „ალბათ იქაც ამთავრებენ ჭარხლის ამოღებას", — გაიფიქრა ილიამ და გულმა მთელენ გაუწია. გაჰყვა ბილიკს და მალე შალვა მჭედლაძისა ნაკვეთში გაჩნდა. გუშანი გაუმართლდა. მანქანით ამოთხრილ ჭარხლის ბოლქვებს აგროვებდა მასთან შეჯიბრებაში ჩაბმული მეგობარი.

— გამარჯვება, ჩემო შალვა, მიესალმა ილია მიწაზე დახრილ თანამოსაკმეს. შალვამ მეგობრის ხმაში ქმაყოფილება იგრძნო. თავი მაღლა ასწია და თვალი-თვალში გაუყარა. ჯიქური გამოხედვა და ქმაყოფილება დაჰკრა შალვამ. მიხვდა, რომ ილიამ გაიმარჯვა. ეს ეგონა. ეს ეგონა. ეს ეგონ

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

კოსმოსის გმირები სოხუმში

სოხუმი. (20 ნოემბერი ტელეფონით. საკ. კორ.). საქართველოს ზღვისპირეთის ქალაქ-პარკის სოხუმის მშრომელებისათვის 20 ნოემბერი სასიხარულო დღე იყო. მათ ბევრჯერ მოუსმენიათ რადიოთი და აღფრთოვანებით წაუკითხავთ კოსმოსის გმირ დამპყრობთა ზესახვა, მაგრამ ამჯერად მათ კოსმოსის გმირები პირადად უნდა ენახათ და შეხვედროდნენ შავიზღვისპირეთში დასასვენებლად მყოფ ი. გაგარინს, გ. ტიტოვსა და ვ. ბიკოვსკის.

აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის საბაფხულო თეატრი საზეიმოდ იყო მორთული. დანიშნულ დროზე დიდი ხნით ადრე თეატრის დარბაზი ხალხით აივსო. ყველანი მოუთმენლად ელიან ძვირფას სტუმრებს.

აი სცენაზე გამოჩნდნენ კოსმოსის გმირები ი. გაგარინი, გ. ტიტოვი და ვ. ბიკოვსკი. დარბაზი ფეხზე ამდგარი მუხლიერ ტაშით ეგებება ძვირფას სტუმრებს. პრეზიდიუმში არიან აგრეთვე ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

შესავალი სიტყვით შეკრებილთ მიმართა და ქალაქის მშრომელთა სახელით საბჭოთა სტუმრებს მიესალმა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ბღაქბა. ქალაქის ახალგაზრდობის სახელით სიტყვას ამბობს საქართველოს ალკკ სოხუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. თვალთვაძე.

— ჩვენი ქალაქის ახალგაზრდობა, — თქვა მან, — გამსჭვალულია ღრმა სიყვარულითა და პატივისცემით იმ ადამიანებისადმი, რომლებმაც ხორცი შეასხეს კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ოცნებას — განახორციელეს გმირული გაფრენა კოსმოსში. ამ გმირობას სოხუმის კომკავშირელები ბეჭითი, კომუნისტური შრომით უპასუხებენ.

გმირ კოსმონავტებს მიესალმნენ აგრეთვე სოხუმის მერვე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე შ. კობლიცკი, თამბაკოს ფაბრიკის მუშა ლ. ხუნწარია, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რეკტორი პროფესორი ი. გიოლგაბერიძე, მეხუთე საშუალო სკოლის მეათეკლასელი გ. გრიგოლია. პიონერმა კ. გერხელიამ წაიკითხა კოსმონავტებისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი.

გმირ კოსმონავტებს ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლებმა ცოცხალი ყვავილების თაიგულები მიართვეს.

ჩვენი ქვეყნის სახელოვანმა შვილებმა, გმირმა კოსმონავტებმა ი. გაგარინმა, გ. ტიტოვმა და ვ. ბიკოვსკიმ ქალაქის მშრომელებს გულითადი მადლობა გადაუხადეს ასეთი სტუმართმოყვარული მიღებისათვის, დაუფიწყარი შეხვედრისათვის და წარმატებები უსურვეს შრომაში, ცხოვრებაში.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

ჩვენი სტუმრების ხელოვნება

უკრავს სიდნეი ფოსტერი

თავის სამშობლოში ამერიკელი პიანისტი სიდნეი ფოსტერი აღიარებულია ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად.

მართლაც, ის ფაქიზი ხელოვანია, დახვეწილი ტექნიკით, ნაზი, რბილი „ტუშეთი", ლირიკული სამყაროთი; ფოსტერი უკრავს ბევრს, მრავალფეროვან რეპერტუარს, მაგრამ რასაც იგი ასრულებს, ყველაფერი როდია ერთნაირად გამომსახველი, ყველაფერს როდი აქვს მბატევრული ზემოქმედების ერთნაირი ძალა. თუმცა, საზოგადოდ, გამომსახველობა და ფაქიზი გემოვნება მისი სამშემსრულებლო ტალის ყველაზე დამახასიათებელი თვისებებია.

სიდნეი ფოსტერის ხელოვნების შეფასება მინდა დავიწყო კონცერტის ბოლოდან, იმ პატარა პიესების — მინიატიურებისაგან, რომლებიც უმთავრესად „ბის"-ზე შესრულდა, რადგან სწორედ მინიატიურებში განსაკუთრებით გამომეღავნდა პიანისტის საუკეთესო თვისებები. უფრო მეტიც, კონცერტის დასასრულს ფოსტერი ახლებურად „გადაშალა" მსმენელის წინაშე, სულ უფრო გაიტაცა იგი.

საუცხოო გემოვნებით და განწყობილებით დაუკრა ფოსტერმა მოცარტის „თემა ვარიაციებით", ვებერის „პერპეტუუმ მობილე", სკრიაბინის, დე-ფალიას მინიატიურები. თვითეული მათგანი და განსაკუთრებით მოცარტი აღბეჭდილი გახლდათ ჭეშმარიტი ხელოვნების ალმაფრენით. თვითეული პიესა თავისებური ლირიკული აღსარება იყო. და კონცერტის მრავალფეროვანი საინტერესო პროგრამის შემდეგ, რომელზეც ეღერდა შოპენი, რახმანინოვი, ბარტოკი, დავრწმუნდით, რომ ფოსტერი ლირიკული მინიატიურის ფაქიზი ოსტატია.

აღმოჩნდა ის სიხალვე და შინაგანი კეთილშობილება, რომლითაც პიანისტი ბახს უკრავს. ამ თვისებებმა თავიდანვე, კონცერტის დაწყებიდანვე დაიპყრეს მსმენელი.

ამერიკელ პიანისტს დაკვრის კეთილშობილური, თავშეკავებული მანერა აქვს; ის ბევრად უფრო გულისხმიერია, ვიდრე გარეგნულად არტისტული, უფრო ნაზი მესაიდუმლე, ვიდრე ბრწყინვალე ორატორი. ამიტომაც დიდი ფორმის ნაწარმოებებიც — შოპენის სიმინორული სონატა, რახმანინოვის სონატა განიმსჭვალა პიანისტის შესრულებისას ლირიკული განწყობილებით. მაგრამ ამავე დროს ამ ნაწარმოებებს ამგვარი ინტერპრეტაციით რამდენადმე დაეკარგათ თავიანთი მასშტაბურობა, სიდიადე, დრამატული მგზნებარება, თუ გნებავთ „პრომეთეტურობა" და ამასთან ერთად ზემოქმედების დიდი ძალაც. ამიტომ მათ თითქოს „გვერდი აუარეს" მსმენელს.

ყოველ კონცერტს აქვს ხოლმე „თავისებური კულმინაცია", რაც მსმენელს ნეტარებას უმაღლეს წერტილს განაცდევინებს. ამ კონცერტში ეს იყო გერშვინის სამი პატარა საუცხოო პიესა. ფოსტერი იშვიათი გემოვნებით უკრავს თავისი თანამემამულის ნაწარმოებებს.

მ. ფიჩხაძე.

მკითხველის კალმით

● **პარტიის ჩოხატაურის რაიონული კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტმა ამას წინათ მოაწყო თემატური სალამო, რომელიც მიეძღვნა ნ. ოსტროვსკის დაბადების 60 წლისთავს. ოსტროვსკის შემოქმედებითი ცხოვრების გზებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ჭკუასელი.**

ე. ბენდელიანი

● **ვინ არის ჩვენი ახალგაზრდა გმირი? — ასეთი იყო კონფერენციის თემა, რომელიც მოაწყო ქობულეთის პირველმა ბიბლიოთეკამ. კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს ქ. ქობულეთის მესამე საშუალო სკოლის მასწავლებელმა ა. გომბრონაძემ, ბიბლიოთეკის გამგემ ნ. წილოსანმა, მეორე საშუალო სკოლის მოსწავლემ ნ. თხილაიშვილმა და სხვ.**

ნ. პავლოვა.

● **ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ბორათში გაიხსნა ავტომძღოლთა მოსამზადებელი სკოლა. აქ ვი მუშა-მოსამსახურე და კოლმეურნე წარმოებისგან მოიწყვეტლივ ეუფლება ავტომძღოლის პროფესიას.**

ზ. დეკანოსიძე

მეცნიერები უზიარებენ გამოცდილებას

ზესტაფონი. (საკ. კორ.). აქ ორ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და რესპუბლიკური სანეპიდსადგურის გამსვლელი სარაიონთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ ქ. ჭიათურის, ქ. ზესტაფონის, ზესტაფონის, საჩხერისა და მაიაკოვსკის რაიონების სანეპიდსადგურების მუშაკები.

მოხსენებებით გამოვიდნენ: სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ლ. გომელაური, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი შ. ხაჩიძე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი გ. კვიტაშვილი და სხვ.

კონკურსში გამარჯვებულნი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა ხალხური ცეკვისა და ხალხურ საკრავთა დაკვრის საუკეთესო შემსრულებლების რესპუბლიკური დასკვნითი კონკურსი. იგი მოაწყეს საქართველოს საგუნდო და ქორეოგრაფიულმა საზოგადოებამ და საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა.

კონკურსი მიზნად ისახავდა ქართული ხალხური მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების ინდივიდუალურ შემსრულებლთა იდეურ-მხატვრული დონისა და ოსტატობის ამაღლებას, რეპერტუარის განზოგადებასა და პოპულარიზაციას. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონისა და ქალაქის როგორც თვითმოქმედმა, ისე პროფესიულმა შემსრულებლებმა.

სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ქართველ ხალხურ საკრავთა (ჩონგური, ფანდური, ჩანგი, სტვირი, ჭიანური, სალამური, ჭიბონი, აფხეტრა, აიუმა, ბუბენი), ფორტეპიანოს, ვიოლინოს, ბუბენ-ფალალაიკის, ბოიანარი, ლუდუკი, ქართული გარმონი, დაირა, დოლი, ნაღარა) საუკეთესო დამკვრელები. მაყურებლები გულთბილად ხვდებოდნენ ძველი და თანამედროვე ქართული ხალხური სიმღერების ოსტატებს, ქართული ხალხური ცეკვების საუკეთესო შემსრულებლებს.

ჟიურიმ რესპუბლიკურ კონკურსზე გამარჯვებულებს მიანიჭა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, აგრეთვე დიპლომები.

საგუნდო ხელოვნებიდან ოქროს მედლის მფლობელები გახდნენ ომარ კელაპტრიშვილი (მცხეთა), ქართული ხალხური საკრავთა ტრიო შერმადინ დარჩიშვილის, გიორგი მანუკოვის, ბუბენ ფალამბერიძის შემადგენლობით (თბილისი).

ქორეოგრაფიიდან ორი ოქროს მედალი მიიღო დავით უშვერიძემ (ქუთაისი) — „ბადდაღურისა" და „ხანჯლურის" ცეკვისათვის. ოქროს მედალი ხვდათ აგრეთვე თემურ მიქელაძეს, ია ბალვაშს (აჭარა). ვერცხლის მედალი ხვდა 13 მონაწილეს, ბრინჯაოსი — ცხრას. საგუნდო ხელოვნებიდან კი 11-და მიიღო ვერცხლის, ხოლო 21-მა ბრინჯაოს მედლები.

რესპუბლიკური კონკურსის სხვა მონაწილენი, რომლებიც აგრეთვე გამორჩეულნენ თავიანთი ხელოვნებით, დაჯილდოვდნენ დიპლომებით.

ქართული ხალხური შემოქმედების ოსტატები

ოსნდური, ბოიანარი, ლუდუკი, ქართული გარმონი, დაირა, დოლი, ნაღარა) საუკეთესო დამკვრელები. მაყურებლები გულთბილად ხვდებოდნენ ძველი და თანამედროვე ქართული ხალხური სიმღერების ოსტატებს, ქართული ხალხური ცეკვების საუკეთესო შემსრულებლებს.

ჟიურიმ რესპუბლიკურ კონკურსზე გამარჯვებულებს მიანიჭა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, აგრეთვე დიპლომები.

საგუნდო ხელოვნებიდან ოქროს მედლის

პრემიერა ცხინვალის სცენაზე

ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ქართულმა დასმა მაყურებელს ხეზონის პირველ პრემიერად უჩვენა ა. კუსანის დრამა „ცენტრალური თავდამსხმელი მოკვლება გარიჟრაზე" (თარგმანი პ. წერეთლისა).

სპექტაკლის დადგმა განახორციელა რეჟისორმა რ. შაფთოშვილმა. მხატვარია ვ. ცერაძე, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის მ. ხეთაგუროვს.

ნ. მაღრაძე.

◇ გისურვებთ წარმატებას, მეგობრებო! ◇

დღეს საათებს ჩართავენ

გუშინ რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში საბერძნოდ გაიხსნა საბჭოთა ქალთა XXIV საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალი.

გაიხსნა ქალთა XXIV საჭადრაკო ჩემპიონატი

◆

სალამო გახსნა საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარემ ა. ჭერაქაძემ. მონაწილეებს მიესალმენ საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი დ. ოსიპოვანი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, გროსმაისტერი მ. ტალი (რიგა) და საქართველოს განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი. მონაწილეთა სახელით გამოვიდნენ მსოფლიოს ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი და საერთაშორისო ოსტატი ლ. ვოლპერტი (ლენინგრადი).

მთავარმა მსაჯმა ო. ტომსონმა (მოსკოვი) დამსწრეთა გააცნო ჩემპიონატის დებულება, პირველადანრიგოსანს, რომელიც პირველ ხუთეულში მოხვდება, მიეგებება ოსტატის წოდება.

მოიწყო წოლისყრა. მან ასეთი შედეგები მოგვცა: 1. ო. ანდრეევა (ხარკოვი), 2. ზ. ნახიმოვსკაია (რიგა), 3. ო. კაცოვა (მოსკოვი), 4. კ. ზეორიკინა (მინსკი), 5. ა. ერგლე (რიგა), 6. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ო. რუბცოვა (მოსკოვი), 7. ე. ბიშარდი (ლენინგრადი), 8. ვ. ბორისენკო (სევერდონეცკი), 9. ბ. მოსიონეიკი (კიშინიოვი), 10. ი. გასპარიანცი (მოსკოვი), 11. ფ. კეტრ (ტალინი), 12. რსფსრ-ს ჩემპიონი ნ. კონიშლოვაი (ვლადიმირი), 13. რ. კაზმინა (ჩელიაბინსკი), 14. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მ. რანიკუ (ტალინი), 15. საქართველოს ჩემპიონი ა. ჩიკოვსკაია (თბილისი), 16. უკრაინის ჩემპიონი რ. ვაინჩინაია (ჩერნოვიცი), 17. ლენინგრადის ჩემპიონი ლ. ვოლპერტი, 18. საქართველოს ჩემპიონი ნ. ალექსანდრია (თბილისი), 19. მსოფლიოს ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი (თბილისი), 20. მოსკოვის ჩემპიონი ე. რუბცოვა.

ამრიგად, დღეს 17 საათზე პირველ ტურში ერთმანეთს ხვდებიან: ანდრეევა-ე. რუბცოვა, ნახიმოვსკაია-გაფრინდაშვილი, კაცოვა-ალექსანდრია, ზეორიკინა-ვოლპერტი, ერგლე-ვაინჩინჩაია, ო. რუბცოვა-ჩიკოვსკაია, ბიშარდი-რანიკუ, ბორისენკო-კაზმინა, მოსიონეიკი-კონშალოვა და გასპარიანცი-კეტრე.

გ. გამრეკელი.

• • •

სურათზე: მსოფლიოს ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი (მარჯვნიდან მეორე) ესაუბრება საბჭოთა კავშირის ჩემპიონ მ. რანიკუს (მარცხნივ), საერთაშორისო ოსტატ ლ. ვოლპერტს (მარცხნიდან მეორე) და ყოფილ მსოფლიოს ჩემპიონ ო. რუბცოვას. (მარჯვნივ).

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საერთაშორისო გროსმაისტერები

ტელ-ავივი, 19 ნოემბერი. (საკდესი). ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესმა საბჭოთა მოჭადრაკეებს ვლადიმერ ანტოშინს (მოსკოვის ოლქი) და ნიკოლაზ კრიგიუსს (სარატოვი) მიანიჭა უმაღლესი საჭადრაკო წოდება — საერთაშორისო გროსმაისტერის წოდება.

ანტოშინმა ეს წოდება მიიღო იმისათვის, რომ მეოთხე ადგილი დაიკავა მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში გასული წლის დასვლეთს.

კრიგიუსმა ორი თვის წინათ გაიმარჯვა მ. ჩიგორინის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირში, რომელიც სოჭში მოეწყო.

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ ექვს საბჭოთა მოჭადრაკეს მიანიჭა საერთაშორისო ოსტატის წოდება. ესენი არიან ლენინგრადელები ვ. ვლადიმიროვი და ა. ლენინი, კიეველი ე. გუფელდი, ტალინელი ი. ნეი, მოსკოველები ა. ხასინი და ვ. ლიბერზონი.

საერთაშორისო არბიტრის წოდება მიენიჭათ მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ო. რუბცოვას, ი. ზარუბინსა და მ. ვოლკოვსკის.

◇ ◇ ◇

ტელ-ავივი, 20 ნოემბერი. (საკდესი). საჭადრაკო ოლიმპიადის მეცხრე ტურის უყურადღების ცენტრში იყო სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდების მატჩი. თამაშის პირველი ხუთი საათის მანძილზე ამერიკელებმა სამგზის თქვეს, „ანვედებითო". მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვ. სმისლოვმა პ. ბენეკოსთან პარტიაში მოიგო ორი პაიკი და მიაღწია გადამწყვეტ პოზიციურ უპირატესობას. 55-ე სვლაზე ამერიკელმა გროსმაისტერმა „ფარ-ხმალი დაყარა". უფრო ადრე — 31 სვლაზე დამთავრდა პ. კერესის შეხვედრა ა. საიდხანთან. საბჭოთა გროსმაისტერმა დებიუტშივე ხელი იგდო ინიციატივა და გაიმარჯვა ა. ბილეკი. ფალიანოვი ალეხინთან ორთაბრძოლაში სსრ კავშირის ჩემპიონმა ლ. ზტერინმა ჯერ პაიკი მოიგო, შემდეგ კი, უარი თქვა ყაიმზე და 44-ე სვლაზე გაიმარჯვა. გუნდების ლიდერების — მსოფლიო ჩემპიონის ტ. პეტროსიანისა და ს. რეშევსკის პარტია გადაიდო.

ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ისრაელისა და უნგრეთის გუნდების შეხვედრები აყაიმით დამთავრდა — 2:2. როცა ანგარიში 2:1 იყო შეწყდა პოლონეთ-ესპანეთის, არგენტინა-იუგოსლავიისა და ბულგარეთ-რუმინეთის მატჩები. ჰოლანდიელები უგებენ კანადელებს — 1:0.

პომარ-პეტროსიანის გადადებული პარტიის გათამაშება დამთავრდა ყაიმით. სსრ კავშირი—ესპანეთის მატჩის ანგარიშია 2,5:0,5.

ცხრა ტურის შემდეგ მდგომარეობა ლიდერთა ჯგუფში ჯერჯერობით ასეთია: სსრ კავშირი — 25 ქულა, ჩეხოსლოვაკია—20,5, არგენტინა — 20, უნგრეთი — 20, ამერიკის შეერთებული შტატები — 19, იუგოსლავია — 18,5, რუმინეთი — 18,5 ქულა.

◆

მორიგი ოლიმპიადა — კუბაში

ტელ-ავივი, 19 ნოემბერი. (საკდესი). შემდეგი, მე-17 მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა გაიმართება 1966 წელს ჰავანაში. ეს გადაწყვეტა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის კონგრესმა ფ. როგარდის (შვეიცარია) თავმჯდომარეობით.

◇ ◇ ◇

◇ ◇ ◇

◇ ◇ ◇

◇ ◇ ◇

საინტერესო ახალი ამბები

ერთიან ნოლი მანქანის სასარგებლოდ

კოპენჰაგენელმა სპორტსმენ თამაშმა შაშით „ბალები და ცხვრები" დიდი ხანი არ არის, რაც გაიტაცა ერეკნის გამოთვლითი ცენტრის მუშაკები. მაგრამ მეცნიერებს, რომლებმაც „მონაწილეობენ" აირჩიეს ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანა, არაფრით არ შეუძლიათ გამოვიდნენ თამაშიდან გამარჯვებულნი. მანქანა აკეთებს უკეთეს სვლებს და 5-10 წუთის შემდეგ აიძულებს მოწინააღმდეგეს დანებდეს.

სულ რამდენიმე დღის წინათ მანქანისათვის მოგება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. მან „იცოდა" მხოლოდ თამაშის წესები და მისი მიზანი. მაგრამ როგორც კი მას მისცეს „მოკმედების თავისუფლება" და ნება დართეს გაეანალიზებინა თავისი სვლები, შეცდომების რიცხვმა მკვეთრად იკლო.

სომეხი მეცნიერების თამაშის მეთოდს საფუძვლად უდევს პოზიციათა კლასიფიკაციის პრინციპი მათემატიკური ლოგიკის ენის საშუალებით.

საკუთარ შეცდომებზე გაწვრთნილი მათემატიკური მანქანა უძლეველი გახდა. მაგრამ ხომ სწორედ ეს არის მათემატიკოსთა გამარჯვება.

დაბრუნდებიან თუ არა პინგვინები მირნიზი

ადელის ოკეანის ორმოცი პინგვინი ნოემბრის პირველ თიეზებში თვითმფრინავით გაფრინდა მირნდან ამერიკის ანტარქტიკულ სადგურ მაკ-მერდოში. სანამ თავიანთი თვითმფრინავით „ჰერკულესსთან" მირნიში ჩავიდოდნენ, ამერიკის სპეციალისტებმა მიიღეს ჩვენი სპარეთმოლარული ოპერატორის მუშაკების ნებართვა „მიოლოგიური ექსპერიმენტისათვის" მაკ-მერდოში გადაიყვანონ პინგვინთა ჯგუფი".

რა ექსპერიმენტია ეს? ამერიკელმა ბიოლოგებმა შეამჩნიეს, რომ პინგვინებს აქვთ ისეთივე „შინ დაბრუნების ინსტინქტი", როგორც საფოსტო მტრედებს. ეს რომ შეეძოწმებინათ, ამერიკელმა მეცნიერებმა მიიმის ახლოახლო ნაპირიდან აირჩიეს პინგვინთა ჯგუფი და წაიყვანეს ისინი ათას კილომეტრზე „შინიდან" როსის ზღვის სანაპიროზე.

პინგვინები რამდენიმე დღის შემდეგ მიიღებენ „პასპორტებს" — ბეჭდებს, ხოლო ამერიკელი ბიოლოგი, რომელიც მომავალ წელს დაიხამორებს მირნიში, შეამოწმებს, „გაიღვიძებს" თუ არა ძველი ინსტინქტი, დაბრუნდებიან თუ არა პინგვინები მირნიში.

ქათამი... ციცარის კვერცხიდან

წ ი ნ ე ლ ა, რომელიც დაიბადა სომხეთის ზოოლოგიის ინსტიტუტის ერთ-ერთ ლაბორატორიაში, სრული უფლება აქვს იამაყოს თავისი არაჩვეულებრივი წარმოშობით. იგი გამოიჩეკა... ციცარის კვერცხიდან. მიუხედავად ამისა სრულიად შეუძლებელია გამოარჩიოთ იგი თანატოლებისაგან, რომლებსაც აქვთ წმინდა სისხლის „ქათმის" საგვარეულო ნუსხა — ახლა წინელა ოთხი თვისაა. იგი დაახლოებით ორ კილოგრამს იწონის, მისი ორგანიზმი საკვებით ნორმალურად ვითარდება.

არაჩვეულებრივი წინელა გამოიყვანეს სომეხმა ზოოლოგებმა მამლისა და ციცარის შეჯვარების შედეგად. ასეთი ცდები წინათაც უწარმოებიათ. მაგრამ დედალი ქიბრიდის გამოყვანას ვერ ახერხებდნენ. ინსტიტუტში შემუშავებულმა ფრინველთა გამრავლების ახალმა მეთოდმა მეცნიერებს მისცა ამის შესაძლებლობა.

ვულკანური „აბაზანა"

კურილიის კუნძულები ბუნებრივი მიწისქვეშა სითბოს საგანძურია. მოკმედი და ძმენარე ვულკანები, „ათობიანი" რა კურილიის მიწას, ბევრ საოცრებას ქმნიან. ერთ-ერთი მათგანის შესახებ საკლესის კოორეპონდენტს უამბეს თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის წყნარი ოკეანის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კურილიის ექსპედიციის მონაწილეებმა.

როცა მეცნიერები ჩავიდნენ შიაშკოტანი კუნძულზე, აღმოჩენილ იქ საოცარი „აბაზანა", რომელშიც სიამოვნებით იბანავეს. კლდის ძირში დიდი ქვის ღრმულში ხუთი მეტრი სიმაღლიდან მოქცეს ორი ჩანჩქერი. ერთი მათგანი ცივია, ხოლო მეორე... ცხელი.

კლდის თავზე არის თავისებური განმანაწილებელი მოწყობილობა — „ძორავი ქვა". ამ ქვით შეიძლება წყლის ტემპერატურის რეგულირება.

ვულკანური „აბაზანა" არ იყენება მთელი წლის მანძილზე.

ჯადოსნური სარკე

ზარაკოვის ა. ს. პუშკინის სახელობის რუსული დრამატული თეატრის ვეხტანგოვში ორი დიდი სარკეა. ადამიანები უსასლოვდებიან მათ, რომ შეიხედონ თმა ან ჰალსტუხი — და უცებ მათი გამოსახულება ქრება... სარკე შიგნიდან ნათდება და მასზე ჩნდება ნარწერები — სარეკლამო ცნობები პრემიერის, მსახიობების შესახებ. რამდენიმე წამის შემდეგ კი სარკე ისევ მაყურებელთა განკარგულებაშია.

არა მარტო თეატრებში, არამედ ქალაქის სხვა ადგილებშიც ხარკოველები უკვე ხვდებიან ასეთი საინტერესო სახეობის რეკლამას. ამ „ჯადოსნური" სარკეების შემქმნელია წარმოების ძველი მუშაკი, უკრაინის გაზის ლაბორატორიის ტექნიკოსი ს. მ. გურევიჩი. იგი ამბობს, რომ ასეთი გაჭვირვალე სარკეებში არსებითად არაფერია საოცარი. მინა იფარება ვერცხლის ამალგამის ძალიან თხელი ფენით, შემდეგ მას უსვამენ არა დასაცავ მუქ საღებავს, არამედ უფერულ ლაქს. შიგნით ათავსებენ საჭირო ტექსტს თუ ნახატს და სინათლის წყაროს. სპეციალური რელე დროდადრო ჩართავს სინათლეს — და „დამალული" გამოსახულება მკაფიოდ ჩანს. „ჯადოსნური" სარკის უკანასკნელ ნიმუშში ავტომატურად ხდება ერთი გამოსახულების მეორით შეცვლა.

გაზი — უნივერსალი

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ორ მილიონზე მეტი ბინის მცხოვრებები სარგებლობენ თხევადი გაზით, უთხრეს საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოში. ხოლო 1970 წლისთვის ეს რიცხვი დაახლოებით ხუთჯერ გაიზრდება.

თხევადი გაზი, ისევე როგორც ბუნებრივი, უნივერსალურია. მას შეუძლია ყველაფერი გააკეთოს: დაუხმაროს დისციპლინებს სადილის მომზადებაში, გაახმოს მარცვალი, გაათბოს მეფრინველეობისა და მეცხოველეობის ფერმები, მიიღოს სხვადასხვა ქიმიური პროდუქტი — სინთეზური კაუჩუკი, სპირტები, პოლიეთილენი...

განსაკუთრებით ძვირფასია თხევადი გაზი სოფელ ადგილას, რომელიც შორს არის გაზსადენებისაგან. მისი უდიდესი მომხმარებელია ჩვენი ქვეყნის უმდიდრესი ბეღელი — ყაზახეთის მხარე. 1965 წლის ბოლომდე აქ განზრახულია გაზიფიცირებულ იქნეს 210 ათასი ბინა. ახლა მხარეში შენდება სათბობის ექვსი ბაზა.

◇ ◇ ◇

◇ ◇ ◇

◇ ◇ ◇

◇ ◇ ◇